



0001118209775412

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
გრიგოლ რობაქიძის 7ა

საქმე № 330310015001059527

16.06.2017 წ.

აიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
მისამართი: ქ.თბილისი. გრიბოედოვის ქ. № 3

გეგზავნებათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
პალატის 2017 წლის 26 აპრილის განჩინების ასლი.

განჩინება: 23 ფურც

მოსამართლის თანაშემწე

ეკატერინე მაჭარაშვილი



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

საქმე №33/651-16

26 აპრილი 2017 წელი  
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა

მოსამართლე: ნინო ქადაგიძე

სხდომის მდივანი ლიანა გელაშვილი

აპელანტი - სსიპ შემოსავლების სამსახური;

წარმომადგენელი - ნინო სოხაშვილი;

მოწინააღმდეგე მხარე - ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

წარმომადგენლები - დავით მაისურაძე, ნინო მერებაშვილი;

დავის საგანი - ქსელების განხილვის უფლების დაკალება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება;

აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდა. შემოსავლების სამსახურს დაევა 2015 წლის 16 აპრილის №04/15-009 განცხადებით მოთხოვნილი სააპელაციო საჩივრის მოსარჩელისათვის გადაცემა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:



2015 წლის 16 აპრილს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-38-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად, მოითხოვა ინფორმაციის გაცემა: განხორციელდა თუ არა შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმება "თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე განცხადებით, მითითებული შემოწმების განხორციელების შემთხვევაში, მოთხოვნილ იქნა თითოეული შემოწმების ამსახველი დასკვნის ან ოქმის მიწოდება განმცხადებლისათვის.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2015 წლის 4 მაისის №21-03/44852 წერილით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს ეცნობა, რომ ორგანიზაციის მიერ 2015 წლის 16 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოში არსებული თითოეული ინდუსტრიული ზონის შემოწმების შესახებ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას.

2015 წლის 8 ივნისს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც მითითებული იყო 2015 წლის 16 აპრილის OPD04/15-009 განცხადებაში.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს 2015 წლის 24 ივნისის №22423 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივარი.

**დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს. ამგვარ კანონისმიერ შეზღუდვის ფარგლებს აწესებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავ მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის სელმისაწვდომობის უემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემა:

განხორციელდა თუ არა შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმება "თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. მითითებული შემოწმების განხორციელების შემთხვევაში, მოსარჩელემ ითხოვა თითოეული შემოწმების ამსახველი დასკვნის ან ოქმის მისთვის გადაცემა.

მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურმა უარს განაცხადა მითითებული ინფორმაციის გაცემაზე და უარის საფუძვლად მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მოქმეტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406/408 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, აქვს რამოდენიმე არსებითი, საერთო მახასიათებელი ნიშანი, რაც განაპირობებს მის მიმართ ერთიანი კონსტიტუციურსამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. საერთოა მთავარი სუბიექტი – გადასახადის გადამხდელი, რომელსაც შეეხება ნებისმიერი გასაიდუმლოებული მონაცემი. საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას აერთიანებს ისიც, რომ ის საგადასახადო ორგანოებში თავს იყრის გადასახადების აღმისისტრირების პროცესის შედეგად. სასამართლომ ასევე უმნიშვნელოვანესად მიიჩნია, რომ საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებულია საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემი იძლევა მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სასამართლომ გაიზიარა და დასაბუთებულად მიიჩნია ასევე სპეციალისტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფინანსებთან კავშირიც მნიშვნელოვანი საერთო ნიშანია.

სასამართლომ კვლავ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტზე, რომლის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს

აუცილებელია, სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლებლად იქნა მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაყოფა რამოდენიმე ჯგუფად. ერთ-ერთ ჯგუფში მოაზრებულ იქნა კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია - ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო საკითხებთან. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე დაცული ინფორმაცია არის „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“, რამდენადაც საგადასახადო ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და სახელმწიფო ამოცანების განმახორციელებელი ორგანოებია და იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული, როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“. სასამართლომ გაიზიარა სპეციალისტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემები ფინანსებს უკავშირდება. სასამართლომ განმარტა, რომ „ფინანსებსთან დაკავშირებული ინფორმაცია“ მოიცავს ფულად ურთიერთობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ე.ი. საგადასახადო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამდენად, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც სწორედ საგადასახადო ურთიერთობებს უკავშირდება, წარმოადგენს „ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას“ და მოქცეულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტითა დადგენილ კონსტიტუციურსამართლებრივ რეჟიმში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის საგნისა და სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული მოპასუხის პოზიციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს - წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაცია თავისი შინაარსით იმგვარი საგადასახადო მონაცემების შემცველ ინფორმაციას, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის გათვალისწინებით საჭიროებს საიდუმლოდ შენახვის აუცილებლობას. ამავდროულად, უნდა დადგინდეს - შესაძლებელია თუ არა მითითებული კოდექსის 39-ე მუხლის მოცემულ შემთხვევასთან მისადაგება იმ პირობებში, როდესაც ეს მუხლი გულისხმობს გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის აუცილებლობას (ამავე მუხლში მითითებული გამონაკლისების გარდა), ხოლო მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების განხორციელების ფაქტის დადასტურება, შემოწმების განხორციელების

შექმისგეგმაში კი, თითოეული შემოწმების ამსახველი დასკვნის ან ოქმის მისთვის გადაცემა.

როგორც აღინიშნა, მოსარჩელის ინტერესი დაკავშირებულია შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან, რაც ასახული უნდა იყოს თითოეული შემოწმების ამსახველ, შემოსავლების სამსახურის მიერ შედგენილ დასკვნაში ან ოქმში. თავის მხრივ, შემოწმება და მისი შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს "თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნასთან.

სასამართლომ მიუთითა "თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონზე, რომელიც ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნისა და ლიკვიდაციის წესს, განსაზღვრავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მართვისა და ამ ზონების ფარგლებში მმართველობისა და მომსახურების/ზედამხედველობის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებისათვის დამატებით პირობებს, საგადასახადო შეღავათებსა და ამ ზონების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი განსაზღვრული საზღვრებითა და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით. მე-3 პუნქტის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისათვის და მის ფარგლებში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც დადგენილია ამ კანონით.

ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას: ა) საქართველოს მთავრობის ინიციატივით; ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის – ორგანიზატორის მოთხოვნით. მეორე პუნქტის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის ორგანიზატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, რომლის ოდენობა და პირობები განისაზღვრება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. მე-3 პუნქტის თანახმად კი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ ჩანაწერზე "გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია" და მიაჩნია, რომ ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, "ნებისმიერ ინფორმაციაში" არ შეიძლება მოაზრებულ იქნას გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან. როგორც აღინიშნა, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საერთო მახასიათებელი ნიშნებია: 1) ინფორმაციის მთავარი სუბიექტი - გადასახადის გადამხდელი, რომელსაც უშუალოდ უნდა შეეხებოდეს ნებისმიერი გასაიდუმლოებული მონაცემი; 2) ინფორმაციის საგადასახადო ორგანოებში თავმოყრა გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად (რაც თავის მხრივ, გულისხმობს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში); 3) საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაციის კავშირი საგადასახადო ურთიერთობებთან; 4) გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემიდან მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და 5) გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაციის კავშირი ფინანსებთან, მისი გაიგივება ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან.

უდავოა, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ინიციატორი შეიძლება იყოს საწარმო (ორგანიზატორი), რომელიც შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამავდროულად, აღრიცხვულია გადასახადის გადამხდელ სუბიექტად. შესაბამისად, მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გამონაკლისებისა, დაცული უნდა იყოს გამხელისაგან. ამასთან, ამგვარი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვაზე ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საგადასახადო ორგანო (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად: შემოსავლების სამსახური და მის შემადგენლობაში შემავალი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დავის საგანი დაკავშირებულია საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან. კერძოდ, მოსარჩელის ინტერესია, მისთვის ცნობილი გახდეს - დაიწყეს თუ არა თავისუფალმა ინდუსტრიულმა ზონებმა ფუნქციონირება მას შემდეგ, რაც სსიპ შემოსავლების სამსახურმა ფიზიკურად შეამოწმა და დაადასტურა თიზის შესაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის



პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილებით დამტკიცებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თიზის ფუნქციონირება შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც: ა) სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ ფიზიკურად შემოწმდება და დადასტურდება თიზის შესაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებულია თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქცია.

აღნიშნული ინსტრუქციის მეორე თავი შეეხება გარანტიას. კერძოდ, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თზ-ის ორგანიზატორს ევალება გარანტიის წარდგენა. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამ მუხლში მითითებული გარანტია წარმოადგენს: ა) „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – შემოსავლების სამსახურთან (შემდგომში – სამსახური) შეთანხმებულ თზ-ის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში აქუსტაციონირების უზრუნველყოფის საშუალებას; ბ) თზ-ის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტია წარედგინება სამსახურს.

ინსტრუქციის მე-3 თავი შეეხება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა მოთხოვნებს. კერძოდ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სავალდებულოა თზ-ს გააჩნდეს ტერიტორიის მთლიანი პერიმეტრის შემომსაზღვრელი, კაპიტალურად დამონტაჟებული მასალის არანაკლებ 2 მეტრი სიმაღლის ღობე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერიმეტრის გეოგრაფიული მდებარეობა (უშუალოდ ზღვის, მდინარის, ჭაობის, კლდის მიმოქნავედ არსებული პერიმეტრი) შეუძლებელს ხდის ღობის აღმართვას, ან როდესაც არსებული პერიმეტრის მომიჯნავედ განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვილი 2 მეტრი სიგანისა და სიღრმის თხრილი. ღობეს მთელ სიგრძეზე უნდა გასდევდეს გარე განათება. ღობეზე ან შენობა-ნაგებობის კედელზე გარე მხრიდან ყოველი 200 მეტრის შუალედში უნდა იყოს მიმაგრებული ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმის ფირნიში (სამკუთხედის გვერდის სიგრძე უნდა იყოს

არანაკლებ 50 სანტიმეტრისა), რომელზეც მწვანე ფერის ფონზე თეთრი ფერით ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს წარწერა: „საბაჟო კონტროლის ზონა“ – „Customs Control Zone“; ამასთან, ფირნიში დამზადებული უნდა იყოს „მანათობელი“ საღებავის გამოყენებით. მეორე პუნქტის მიხედვით, თზ-ის ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა შენობა-ნაგებობები და სხვა ნებისმიერი კონსტრუქცია (გარდა შესასვლელ-გამოსასვლელი საბაჟო გამშვები პუნქტებისა, ასევე წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის ელექტრო- და გაზმომარაგების კონსტრუქციებისა) არ უნდა კვეთდეს თზ-ის ღობის ვერტიკალურ სიბრტყეს. მე-3 პუნქტის თანახმად კი, თზ-ში კანონმდებლობით დადგენილი წესით (თზ-ის ორგანიზატორის მიერ და მისივე ხარჯით) მოეწყობა თზ-ში შესასვლელები და გამოსასვლელები – საბაჟო გამშვები პუნქტები.

ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობისათვის თზ-ის შექმნის ინიციატივით ორგანიზატორის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის დასკვნის მომზადების მიზნით წარდგენილ განცხადებას სამინისტრო თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად უგზავნის შემოსავლების სამსახურს. მეორე პუნქტის შესაბამისად, თანდართული დოკუმენტაციის სახით წარდგენილი უნდა იქნეს ის ინფორმაცია, რაც საკმარისია საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის, ასევე სხვა პარამეტრების შესახებ სამსახურის მიერ მოთხოვნების განსაზღვრისათვის, აგრეთვე ვალდებულებას ფუნქციონირების დაწყების ვადის ფარგლებში ამ მოთხოვნების შესრულების თაობაზე, ან მტკიცებულებებს, რომ დაკმაყოფილებულია თზ-ის შექმნისათვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები. მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა თზ-ისათვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვრების განლაგების მიხედვით ან/და ორგანიზატორის სურვილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შესვლა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შეტანა, ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან პირის გასვლა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გატანა გასასორციელდება უშუალოდ თზ-ისათვის განკუთვნილი ტერიტორიიდან, აუცილებელია წარდგენილ იქნეს ინფორმაცია სანიტარიულ-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის ან/და სხვა საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების, აგრეთვე, სხვა პარამეტრების შესახებ მოთხოვნების განსაზღვრისათვის. მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე თზ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების მოწოდების მიზნით განცხადების რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში სამსახურის უფროსი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს,

რომლითაც განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. მე-6 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საფუძველზე თბ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების განსაზღვრის თაობაზე ან განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა განცხადების რეგისტრაციიდან 25 კალენდარული დღე.

ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯგუფის ამოცანაა, დაადასტუროს ან უარყოს თბ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თბ-ის შესაბამისობა. მე-4 პუნქტის თანახმად, სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს თბ-ის დათვალიერების თარიღს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს ორგანიზატორს. მე-5 პუნქტის თანახმად კი, თბ-ის დათვალიერებისას დგება დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

ამავე ინსტრუქციის მე-12 მუხლის თანახმად, თბ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თბ-ის შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ორგანიზატორსა და სამინისტროს სამსახური უგზავნის მოთხოვნას ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული გარანტიის შესაბამის საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირების თაობაზე, ხოლო გარანტიის რეგისტრაციის მეორე სამუშაო დღეს ორგანიზატორსა და სამინისტროს სამსახური უგზავნის მოქმედების თაობაზე თბ-ის ფუნქციონირების დაწყების მზადყოფნის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ზონის ფუნქციონირების დაწყებისათვის აუცილებელი წინაპირობების არსებობა უნდა დადასტურდეს შემოსავლების სამსახურის მხრიდან შესაბამისი ქმედებების განსორციელებით - წარდგენილი ინფორმაციის (რაც ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკმარისი უნდა იყოს საბაჟო კონტროლის პროცედურების განსორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის, ასევე სხვა პარამეტრების შესახებ სამსახურის მიერ მოთხოვნების განსაზღვრისათვის და სხვ.) საფუძველზე, თბ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების მომზადების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნით (რაზედაც გამოცემულ უნდა იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), თბ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების განსაზღვრის თაობაზე ან განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, სამუშაო ჯგუფის მიერ ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თბ-ის შესაბამისობის დადგენით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დათვალიერებით და დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტის შედგენით, ხოლო განსაზღვრულ მოთხოვნებთან თბ-ის შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, ორგანიზატორსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შემოსავლების სამსახურის მიერ ინსტრუქციით გათვალისწინებული გარანტიის შესაბამის

საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირების მოთხოვნის გაგზავნით. საბოლოოდ, შემოსავლების სამსახური გარანტიის რეგისტრაციის მეორე სამუშაო დღეს ორგანიზატორსა და სამინისტროს უგზავნის შეტყობინებას თიზის ფუნქციონირების დაწყების მზადყოფნის შესახებ.

საქმის მასალებიდან (მათ შორის - ინფორმაციის გაცემის შესახებ მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადებიდან), მხარეთა განმარტებებიდან და სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიზანს არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ორგანიზატორი პირის - გადასახადის გადამხდელად აღრიცხული მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, მისი გადახდისუნარიანობის ამსახველი ინფორმაციის მიღება. ადმინისტრაციულ ორგანოში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თავისი შინაარსით არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მან გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ მეწარმესთან დაკავშირებული (რაც მოცემულ ურთიერთობაში შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზატორს), გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვა.

რაც შეეხება საბანკო გარანტიას - აღნიშნული არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს გადასახადის გადამხდელის შესახებ პირდაპირი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტთან, რომლის მესამე პირებისათვის გადაცემითაც შეიძლება შეიქმნას გადასახადის გადამხდელის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საბანკო გარანტია მოცემულ ურთიერთობასთან მიმართებაში, ერთის მხრივ წარმოადგენს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ და შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებულ თიზის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა- დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ - თიზის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას. ამრიგად, ნათელია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საბანკო გარანტიის არსებობის ქმედითა მხოლოდ თიზის ფუნქციონირების პერიოდში გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის მიმდინარე ურთიერთობის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ წარმართვის შემთხვევაში, რაც უნდა გამოიხატოს გადასახადის გადახდაზე ვალდებულები საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობაში, ამას ადასტურებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის 21-ე მუხლიც. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისათვის თიზისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობად ითვლება თიზის შექმნის თაობაზე საქართველოს მთავრობის

გადაწყვეტილების მიღების შემდგომ პერიოდში ნებისმიერი წესის/პირობის დარღვევა (მათ შორის, ორგანიზატორის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია თზ-ის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. მეორე პუნქტის თანახმად კი, თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, რომელზეც წარდგენილია ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული გარანტია, გარანტიის შესრულების (რეალიზაციის) მოთხოვნას ან გარანტიიდან საჭირო ოდენობის ფულადი თანხის ჩამოჭრას ახორციელებს სამსახური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე, საბანკო გარანტიას არ შეიძლება განიხილებოდეს იმგვარ ინფორმაციად, რომლის გაცემითაც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, შეიძლება დარღვეულ იქნეს გადასახადის გადამხდელიდან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 331 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოხსენებული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნ, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და შემოსავლების სამსახურს ა(ა)იპ ინფოინსტაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სასარგებლოდ უნდა დაეკალოს გასცეს სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული საჯარო ინფორმაცია.

სააპელაციო საჩივრის საფუძველები:

*ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები:*

შემოსავლების სამსახური მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიხრიდან ადგილი აქვს კანონის იმპერატიული მოთხოვნის არაწორ ინტერპრეტაციას და მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 მუხლებზე.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 03 ივნისის N131 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესები“-ს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, თზ-ის ფუნქციონირება შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სსიპ –

შემოსავლების სამსახურის მიერ ფიზიკურად შემოწმდება და დადასტურდება თიზის შესაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ხოლო საქართველოს მთავრობის 2011 წლის 05 იანვრის N11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის“ გათვალისწინებით სამსახურის მიერ მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კლასიციფიცირებული ინფორმაცია წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი წესით.

აპელანტი მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმათა დანაწესის მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე დაყრდნობითა და კონსტიტუციის 41-ე მუხლზე მითითებით სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება პირთან დაკავშირებულ ფინანსურ ინფორმაციას, რამდენადაც იგი ეხება პირის საკუთრება/მფლობელობაში არსებულ ტექნიკა-დანადგარებსა და საქმიანობის დაწყების პერიოდისათვის წარდგენილ საბანკო გარანტიას. აპელანტი საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ პირის ტექნიკური ბაზისა და ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც იგი იყენებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მიეკუთვნება მის ფინანსურ საიდუმლოებას. ამასთანავე, საბანკო გარანტია თავის თავად მოიცავს პირის ფინანსურ ვალდებულებას, შესაბამისად, მიაჩნია, რომ სასამართლოს, აღნიშნული მსჯელობა მოკლებულია ობიექტურ რეალობას.

აპელანტი ასევე მიუთითებს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის მოთხოვნით განცხადებას საქართველოს მთავრობას წარუდგენს ორგანიზატორი, რომელიც ამავე კანონის მე-7 მუხლის მიხედვით არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს და რეგისტრირებულია საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგადასახადო კოდექსის მიხედვით კი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად და რეგისტრირებულნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან საგადასახადო ორგანოს მიერ, წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელებს და შესაბამისად მითითებულისა, მათ შესახებ საგადასახადო ორგანოში დაცული ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო არის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო და თავის მხრივ, მითითებული ნორმატიული აქტის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა რეგისტრაციის ნორმების შესაბამისად და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის ორგანიზატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, რომლის ოდენობა და პირობები განისაზღვრება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად.

თიზის ფუნქციონირება შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოსავლების სამსახურის მიერ ფიზიკურად შემოწმდება და დადასტურდება თიზის მქსაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ესაა გარანტია, ტექნიკური, საორგანიზაციო და სხვა მოთხოვნები თზ-ის მოწყობისას და თზ-ის ფუნქციონირების წესი.

იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო არის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის განიხილება გადასახადის გადაქმნედად და გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კი მისი გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას, რომლის გაცემაც დასაშვებია გარკვეული მოცულობით პირთა გარკვეული წრისათვის, და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სამსახურის მიერ საქართველოში არსებული იითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების განსორციელებისა და ასეთი შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი და ასეთი ინფორმაციის გაცემა არ ექცევა სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში, შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება სამართლიანი და კანონიერია.

აპელანტი ასევე კანონშეუსაბამოდ მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას შემოსავლების სამსახურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის (100 ლარის) გადახდის დაკისრების ნაწილშიც, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ

სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით გარდა ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც. "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად კი: "საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან - საგადასახადო ორგანოები - ყველა საქმეზე; სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, როგორც მოსარჩელები ან მოპასუხეები, - სარჩელებზე მოსაკრებლების, სახელმწიფო ბაჟისა და სხვა აუცილებელი გადასახადების ბიუჯეტში გადახდისა და ბიუჯეტიდან თანხების დაბრუნების შესახებ, აგრეთვე გასსაკუთრებული წარმოების საქმეებზე".

### III ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის



თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო ივლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს. საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია სრულყოფილად, რაც არ იძლევა გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლო სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს, სამართლებრივ შეფასებებს და განჩინების დასაბუთების თვალსაზრისით შემოიფარგლება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე მითითებით, ამასთან დამატებით განმარტავს შემდეგს:

სააპელაციო სასამართლო ცალსახად იზიარებს იმ პრინციპებს, რაც უკავშირდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და მიიჩნევს, რომ დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის სავალდებულოა ცალკეულ ინდივიდს ხელი მიუწვდებოდეს სახელისუფლებო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე.

ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულაციები ქართულ კანონმდებლობაში საწყისს იღებს საქართველოს კონსტიტუციიდან. ინფორმაციის თავისუფლების საკითხი გაწერილია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში, რაც მიაჩნის იმაზე, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა წარმოადგენს ადამიანისათვის მინიჭებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენს: ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

საერთაშორისო აქტები, ისევე როგორც შიდა კანონმდებლობა, აწესებს არა მხოლოდ ინფორმაციის დაცულობას, არამედ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომლისადმი მხარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების

უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ადგენ: 1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას; 2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა წარმოადგენს პირის ინფორმაციული თვითგამორკვევისა და თავისუფალი განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რაც წარმოშობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, გასცეს ყველა ის მოწოდება და ინფორმაცია, რომლის მოპოვება, დამუშავება და გაცემა კანონით შესაძლებელია და მისი მიზნით, სააპელაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის ღიაობის თვალსაზრისით დაწესებულ შეზღუდვებს და ადასტურებს იმ ტიპის ინფორმაციის დაცვის საგადასახადო საიდუმლოებას, რომლის ღიაობა აღემატება ინფორმაციის განსაიდუმლოების ინტერესს, თუმცა თვლის, რომ სარჩელის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაცია არ ექვევება კანონით დაცულ ინფორმაციათა კატეგორიაში, რაც წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მისი გაცემის ვალდებულებას.

ადმინისტრაციული ორგანო სააპელაციო საჩივარში ძირითად აპელირებს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 03 ივნისის N131 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესებზე“ და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 05 იანვრის N11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციაზე“ და მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ მოპოვებული მოწოდებების ანალიზის საფუძველზე კლასიფიცირებული ინფორმაცია წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას და მისი მე-3 პირზე გადაცემა დაუშვებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მქარა მეთა და არასამქარა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრსა და

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას.

სააპელაციო სასამართლო ინფორმაციის შეფასების თვალსაზრისით, სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას და ადასტურებს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის ღიაობის განსაზღვრის თვალსაზრისით პრინციპულია დადგინდეს, მოსარჩელის ინტერესში შემავალი ინფორმაცია, თავისი შინაარსით წარმოადგენს თუ არა იმგვარი მონაცემების შემცველ ინფორმაციას, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის გათვალისწინებით საჭიროებს დაცვას. რა მიზნითაც უნდა დადგინდეს, რა ტიპის ინფორმაციას ითხოვს მხარე, რომელი აქტის საფუძველზე ითხოვს და შესაძლებელია თუ არა ინფორმაციის გაცემას თან მოჰყვეს გადასახადის გადაქმნის კომერციული, საბანკო ან/და სხვა დაცული სახის ინფორმაციის გამჟღავნება.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის, ლიკვიდაციის, მართვის, საქმიანობის, საგადასახადო შეღავათებისა და ამ ზონების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს არეგულირებს "თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონი.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისათვის და მის ფარგლებში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც დადგენილია ამ კანონით.

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას: ა) საქართველოს მთავრობის ინიციატივით; ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის – ორგანიზატორის მოთხოვნით. მეორე პუნქტის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის ორგანიზატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, რომლის ოდენობა და პირობები განისაზღვრება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად. მე-3 პუნქტის თანახმად კი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილებით დამტკიცებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თიზის ფუნქციონირება შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც: ა) სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ

ფიზიკურად შემოწმდება და დადასტურდება თიზის შესაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებულია თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქცია.

ინსტრუქციის მე-3 თავი შეეხება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა მოთხოვნებს. კერძოდ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სავალდებულოა თიზს გააჩნდეს ტერიტორიის მთელი პერიმეტრის შემომსაზღვრელი, კაპიტალურად დამონტაჟებული მასალის არანაკლებ 2 მეტრი სიმაღლის ღობე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერიმეტრის გეოგრაფიული მდებარეობა (უშუალოდ ზღვის, მდინარის, ჭაობის, კლდის მომიჯნავედ არსებული პერიმეტრი) შეუძლებელს ხდის ღობის აღმართვას, ან როდესაც არსებული პერიმეტრის მომიჯნავედ განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვილი 2 მეტრი სიგანისა და სიღრმის თხრილი. ღობეს მთელ სიგრძეზე უნდა გასდევდეს გარე განათება. ღობეზე ან შენობა-ნაგებობის კედელზე გარე მხრიდან ყოველი 200 მეტრის შუალედში უნდა იყოს მიმაგრებული ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმის ფირნიში (სამკუთხედის გვერდის სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 50 სანტიმეტრისა), რომელზეც მწვანე ფერის ფონზე თეთრი ფერით ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს წარწერა: „საბაჟო კონტროლის ზონა“ – „Customs Control Zone“; ამასთან, ფირნიში დამზადებული უნდა იყოს „მანათობელი“ საღებავის გამოყენებით. მეორე პუნქტის მიხედვით, თზ-ის ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა შენობა-ნაგებობები და სხვა ნებისმიერი კონსტრუქცია (გარდა შესასვლელ-გამოსასვლელი საბაჟო გამშვები პუნქტებისა, ასევე წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის ელექტრო- და გაზმომარაგების კონსტრუქციებისა) არ უნდა კვეთდეს თზ-ის ღობის ვერტიკალურ სიბრტყეს. მე-3 პუნქტის თანახმად კი, თზ-ში კანონმდებლობით დადგენილი წესით (თზ-ის ორგანიზატორის მიერ და მისივე ხარჯით) მოეწყობა თზ-ში შესასვლელი და გამოსასვლელი – საბაჟო გამშვები პუნქტები.

ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობისათვის თზ-ის შექმნის ინიციატივით ორგანიზატორის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის დასკვნის მომზადების მიზნით წარდგენილ განცხადებას სამინისტრო თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად უგზავნის შემოსავლების სამსახურს. მეორე პუნქტის შესაბამისად, თანდართული დოკუმენტაციის სახით წარდგენილი უნდა იქნეს ის ინფორმაცია, რაც საკმარისია საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო

რეჟიმში ფუნქციონირებისათვის, ასევე სხვა პარამეტრების შესახებ სამსახურის მიერ მოთხოვნების განსაზღვრისათვის, აგრეთვე ვალდებულებას ფუნქციონირების დაწყების ვადის ფარგლებში ამ მოთხოვნების შესრულების თაობაზე, ან მტკიცებულებებს, რომ დაკმაყოფილებულია თზ-ის შექმნისათვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები. მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა თზ-ისათვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვრების განლაგების მიხედვით ან/და ორგანიზატორის სურვილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შესვლა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შეტანა, ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან პირის გასვლა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გატანა განხორციელდება უშუალოდ თზ-ისათვის განკუთვნილი ტერიტორიიდან, აუცილებელია წარდგენილ იქნეს ინფორმაცია სანიტარიულ-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის ან/და სხვა საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების, აგრეთვე, სხვა პარამეტრების შესახებ მოთხოვნების განსაზღვრისათვის. მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე თზ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების მომზადების მიზნით განცხადების რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში სამსახურის უფროსი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. მე-6 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საფუძველზე თზ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების განსაზღვრის თაობაზე ან განსაზღვრაზე უარის აქტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადაა განცხადების რეგისტრაციიდან 25 კალენდარული დღე.

ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯგუფის ამოცანაა, დაადასტუროს ან უარყოს თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობა. მე-4 პუნქტის თანახმად, სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს თზ-ის დათვალიერების თარიღს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს ორგანიზატორს. მე-5 პუნქტის თანახმად კი, თზ-ის დათვალიერებისას დგება დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, სსიპ - შემოსავლების სამსახურის ფუნქციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს არა ფინანსური და საკადასტრალი ინფორმაციის მოძიება. დადგენა და მოპოვება, არამედ ფიზიკური შემოსულება და დადასტურდება იმ გარემოების, რომ თაზი შეესაბამება „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შესაბამისად, მოსარჩელის ინტერესის სფეროს მიეკუთვნება ინფორმაცია იმის თაობაზე, შემოსავლების სამსახურმა ფიზიკურად შეამოწმა და დაადასტურა თუ არა თზის მოწყობის შესაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია უკავშირდება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტექნიკურ, ინფრასტრუქტურულ მოწყობას და დაწესებულ სტანდარტებთან თზ-ის შესაბამისობის დადგენას.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლო დასკვნას და თვლის, რომ დაუშვებელია საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლში მითითებულ „ნებისმიერ ინფორმაციაში“ მოაზრებულ იქნას გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ მის ფინანსურ თუ კომერციულ საქმიანობასთან, მოპოვებული და მოძიებული არ არის გადასახადების ადმინისტრირების პროცესში და მათი გამჟღავნება არ არის ფინანსური ან/და სხვა სახის საფრთხის ან რისკების მატარებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო, მოთხოვნილი ინფორმაციის და მარეგულირებელი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმება, შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზე არაა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრული დაცული ინფორმაცია.

რაც შეეხება „გარანტიას“, სააპელაციო სასამართლო სრულად გამორიცხავს „გარანტიისათვის“ დაცული ინფორმაციის მინიჭების შესაძლებლობას, რამდენადაც გარანტია წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის მეშვეობითაც მოვალის მხრიდან გარანტირებულია უპირობო მოქმედების განხორციელების ვალდებულება და უზრუნველყოფს შეთანხმებული მოქმედების შესრულების გარდაუვალობას.

ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, თზ-ის ორგანიზატორს ევალება გარანტიის წარდგენა. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამ მუხლში მითითებული გარანტია წარმოადგენს: ა) „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შემოსავლების სამსახურთან (შემდგომში - სამსახური) შეთანხმებულ თზ-ის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებას; ბ)

თუ-ის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტია წარედგინება სამსახურს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს, სასამართლო კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალეებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების შესრულებისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან დავალება განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სააპელაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო საჩივრის ავტორის - შემოსავლების სამსახურის მითითებას მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საფუძვლების არასებობის თაობაზე და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სწორად მოხდა სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაკისრება.

საპროცესო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აპელანტი გათავისუფლებული არის სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### IV ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კასაციის წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა).

მოსამართლე:

6.



ნინო ქადაგიძე

ნინო ქადაგიძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ 2016 წ.